№ 296 მთავრობის ორგანო | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. სამშაბათი, დეკემბერი 28 1920

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 2 მან. 4-ხე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი თვიურად ეღირება 500 მანეთი, წლიურად 6.000 მან. ცალკე ნომერი 20 მან. ნისიათ გაზეთი არავის გაეგზავნება. გაზეთის ზედმეტი რიცხვი არ დაიბეჭდება.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

სამშაბათს, 28 დეკემბერს მორდკინის საბალეტო წარმოდ.

„კარნავალი“

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს „ფაუსტი“, ხუთშაბათს, 30 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბელოუსოვის და ბოროვსკის მონაწ., პარასკევს, 31 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინის „კარნავალი“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს,

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ელექტრონის სადგურნი ვალდებულნი არიან გასცენ ენერგია თვითმრთველობის საშუალებით.

იმ შემთხვევაში თუ აბონენტს თვითმთვლელი არა აქვს ანგარიში ხდება ელნათურებით.

ელექტრო სადგურის ადმინისტრაციას ეძლევა უფლება გადაახდევინოს აბონენტს მხოლოდ ნახევრი თვის ენერგიის ფასის რაოდენობა-ერთდროული ავანსის სახით: ყოველგვარი მინიმუმი აკრძალულია. აბონენტის ელექტრონის ქსელთან შეერთებისათვის ადმინისტრაციას უფლება აქვს გადაახდევინოს მასალების და სამუშაოს ღირებულების გარდა 50 მან. ზემონახსენებ წესების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაცია გადაუხვევს თავისი მოქმედებაში აღნიშნულ წესებს გამგეობა მოუწოდებს მოქალაქეთ აცნობონ ასეთი შემთხვევები წერილობით განათების შესახებ ქალაქის ზედამხედველობას მისამართი: ტრამვაის პარკი, დილის 9 საათიდან 12 საათამდე. ტელ 4-07.

1047 3—2 ქალაქის გამგეობა.

## სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო არქივი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, დეკემბრის 30-ს, დილის 10 საათზე ყოფილ საოლქო საინტენდანტო სამმართველოს შენობაში (ნიკოლოზის ქუჩა № 51) დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

განუმეორებლათ გაიყიდება:

1) 4000 ფუთამდე მოსასპობად გამზადებული არქივის საქმეების ქაღალდები.
2) მატერიის ყდები დაახლოვებით 10.000 ცალამდე.
3) წიგნების კარდონის ნაყდები დაახლოვებით 100 ფუთამდე.

ფუთი ქაღალდის შესყიდვა 600 მანეთიდან დაიწყება. მატერიის ყდის 20 მანეთიდან ცალი და ფუთი კარდონი კი 1.500 მანეთიდან.

იმ პირთ, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, უნდა წარმოადგინონ სათანადო განცხადება, ანაზღაურებული სადერბო მარკებით, ცენტრალურ არქივის დირექტორის სახელზე, შემდეგი მისამართით: სამხედრო საოლქო სასამართლოს ყოფილი შენობა ოლღას ქუჩა № 48. საჯარო ვაჭრობის დღესკი კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

აუცილებლივ საჭიროა, რომ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მისაღებათ შემოტანილ იქმნას საწინდარი 10% შეფასების თანხის მიხედვით. თვით ქაღალდი გაიყიდება პარტიობით, არა ნაკლებ 100 ფუთისა. მატერიის ყდები მხოლოდ ერთ პარტიად და კარდონი კი არა ნაკლებ 10 ფუთისა. გასასყიდი საქონლის დათვალიერება შეიძლება დეკემბრის 27, 28 და 29-ს საინტენდანტო სამმართველოს ყოფილ შენობაში დილის 10—12 საათამდინ.

4463 3—2

### ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

**საქართველოს სენატის.**

1 ნოემბერი, 1920 წ., № 42.

**ინიშნებიან:** ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი მიხეილ ივანეს ძე ბადრიძე—სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ, და სოხუმის დროებითი საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მ. ლ. მელენიცკი—სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრად, ორივე 1920 წლ. ნოემბრის 1-დან.

**თავისუფლდება** თანამდებობიდგან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა, ტფილისის სასამართლო პალატის წევრი ალექსი აბრამის ძე მაჩაბლიშვილი—1920 წლის ნოემბრის 1-დან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე

**დ. ხელთუფლიშვილი.**

**საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.**

24 ნოემბერი, 1920 წ., № 43.

**შვებულება** ეძლევა სენატის კანცელარიის მოხელეს მარიამ დავითის ასულს თარხან-მოურავისას, მისი ავადმყოფობის გამო, ორი კვირის ვადით და ჯამაგირის მიცემით, ნოემბრის 16-დან დეკემბრის 1-მდე.

18 დეკემბერი, 1920 წ., № 45.

**მიეცა** შვეუბულება საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელეს ლიუბა არტემის ასულს ბობოხიძეს, მისი ავადმყოფობის გამო, ერთი თვის ვადით და ჯამაგირის შენახვით, ნოემბრის 5-დან.

21 დეკემბერი, 1920 წ., № 46.

**დაშვებულ იქმნას:** სენატის კანცელარიის მოხელის თანამდებობის დროებითი აღმასრულებლად მოქალაქე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ჩივაძე 1920 წლ. დეკემბრის 21-დან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე

**დ. ხელთუფლიშვილი.**

## კანონი

**სამთო-მადნო სამმართველოსთან სამთო-სატეხნიკო კურსების დაარსებისა.**

1. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის დეკემბრის 1 დან სამთა მადნო სამმართველოსთან ერთწლიანი სამთო სატეხნიკო კურსები, თანახმად ამ კანონთან დართული დებულების, შტატის და ხარჯთ-აღრიცხვისა.

2. ამ კანონით დაწესებული სამთო-სატეხნიკო კურსების საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის 1920 წლის დეკემბრის 1 დან 1921 წლის ივნისის 1 დე ხუთას თხუთმეტი ათასი (515.000) მანეთი.

1920 წ. დეკემბრის 17-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**სამთო-სატეხნიკო კურსებისა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობათა სახელწოდება. | ერთ თვეში თვიურად. | თვითეულს წლიურად. | ყველას 1920 წ. დეკ. 1 დან 1921 წ. ივნ. 1-მდე. |
|---|---|---|---|---|
| 1 | კურსების გამგეს სამთო-მადნო სამმართველოს უფროს დამატებითი ჯამაგირი | 5000 | 60000 | 30000 |
| 2 | კურსების თანაშემწეს დამატებითი | 2500 | 30000 | 15000 |
| 3 | საქმის მწარმოებელს (იგივე საბჭოს მდივანი) დამატებითი | 2000 | 24000 | 12000 |
| 4 | მხაზავს დამატებითი | 2000 | 24000 | 12000 |
| 5 | მანქანით გადამწერს დამატებითი | 1000 | 12000 | 6000 |
| 6 | ბუხჰალტერს დამატებითი | 1000 | 12000 | 6000 |
| 7 | ეგზეკუტორს | 1000 | 12000 | 6000 |
| 8 | მსახურს | 1500 | 18000 | 9000 |
| 9 | ლექტორებს 500 მან. საათში (თვეში 24 საათი) | 12000 | 144000 | 72000 |
| 10 | პრაქტიკული ვარჯიშობისათვის სამოსწავლო დროს ტფილისშივე (200 მ. საათში სულ 300 ს.) | — | — | 60000 |
| 11 | პრაქტიკისათვის კანიკულებში 10.000 მან. (სულ სამჯერ) | — | — | 30000 |
| 12 | პრაქტიკის ხელმძღვანელთ დღიური 300 მან. (სულ 150 დ.) | — | — | 45000 |
| 13 | საგზაო ხელმძღვანელთ და ნაწილობრივ მოსწავლეთაც | = | — | 25000 |
| 14 | ხელსაწყო კრისტალოგრაფიისა, მარკშეიდერიისა, სამთო საქმის ინსტრუმენტები და სხვა აგრეთვე სამოსწავლო კონსპექტების დამზადება | — | — | 80000 |
| 15 | ერთდროული მოწყობა კურსებისა, მაგიდები, სკამები, დაფა, ცარცი და სხვა | — | — | 30000 |
| 16 | სამეურნეო საკანცელარიო, სახაზავი მასალა, რემონტი ოფისის და სხვა | — | — | 50000 |
| 17 | გათბობა-განათება და წყალი | — | — | 27000 |
| | სულ | 28.000 | 336000 | 515000 |

ხუთას თხუთმეტი ათასი (515.000) მანეთი.

1920 წ. დეკემბრის 17-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### არა ოფიციალური განყოფილება.

## საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიურო სამან.

**საგარეო საქმ. მინისტრის ნოტა ბ-ნ შეინმანს.**

(საგარეო საქმეთა სამინისტრომ დეკემბრის 24-ს შემდეგის ნოტით მიმართა რუსეთის ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს ტფილისში ბ-ნ შეინმანს. პირი ამ ნოტისა დეპეშით გაეგზავნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს მოსკოვში).

მოსკოვის 7 მაისის ხელშეკრულობის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის ძალით რუსეთმა იკისრა ვალდებულება ეცნო საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში სხვა ადგილთა შორის აგრეთვე ზაქათალის ოლქიც.

ამავე ხელშეკრულობის 12 მაისის დამატებითი შეთანხმების 1 და 2 მუხლისა და 12 ივნისის აქსტაფის ხელშეკრულობის მე-6 მუხლის თანახმად საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებზე, აგრეთვე ზაქათალის ოლქშიაც, სადაო ადგილთა საკითხი, უნდა გადაიჭრას ცალკე შერეული კომისიის მიერ, ხოლო ვიდრე ეს კომისია ამ საკითხს გადასწყვეტდეს ორივე მხარემ მიიღო საურთიერთო მოვალეობა არ გააძლიეროს ამ ოლქში თავისი სამხედრო ნაწილები ახალ რაზმების შეყვანით.

# გაზეთ
# „საქართველოს რესპუბლიკა"-ს
# კანტორა

აცხადებს სასამართლოს დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობისა (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 295-ს ახალი ამბავი) სავალდებულო განცხადებათა დაბეჭდვა, როგორიც არის მემკვიდრეების გამოწვევა სიგელის და ანდერძის დამტკიცება და სხვათა 1921 წ. იანვრის 1-დან ღირს 600 მანეთი, რომელი ფულიც აუცილებლად უნდა იქნას გამოგზავნილი კანტორის სახელზე.

---

მიუხედავათ ამისა ჩვენის ცნობებით ზაქათალის ოლქის საზღვრებში, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა აშკარა დარღვევით, გრძელდება გაძლიერებული დაგროვება და კონცენტრაცია საბჭოთა ჯარების და ამავე დროს იმავე ოლქის სოფ. ბელაკანის რაიონში სწარმოებს ტოპოგრაფიული ზომვა.

კიდევ მეტი, ოლქის მცხოვრებთ წამოუყენეს მოთხოვნილება პირველ იანვრისათვის წარმოადგინონ დიდძალი სანოვაგე, საქონელი და საქონლის საკვები მასალა.

ყველა ეს ცნობა ძირითადად განსხვავდება თქვენ მიერ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის სახელით მრავალჯერ განცხადებულ რწმუნებისაგან, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი მთავრობა მოისწრაფის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ და რომ საქართველოს საზღვრებთან სამხედრო ძალის თავმოყრისა და კონცენტრაციის შესახებ ყველა ცნობა საფუძველს მოკლებულია.

ამის გამო, ვაცხადებ რა გადაჭრილ პროტესტს ზემო აღნიშნულ ხელშეკრულებათა ასეთი დარღვევისა და იმ ზომების წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიან ადგილობრივ მცხოვრებთა ქონებრივ მდგომარეობას, ვინაიდან მათი არსებობის ერთად ერთ წყაროს წარმოადგენს საქონელი და ქირნახული, ჩემის მთავრობის დავალებით მოვითხოვთ აღნიშნულ ღონისძიებათა დაუყონებლივ გაუქმებას და გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ შედეგი ამ მომართვისა ჩემის მთავრობისათვის მოსახსენებლად. № 11232.

მიიღეთ და სხვ. საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ **კ. სახახტარიშვილი.**

—

**საგარეო საქ. მინისტრის ნოტა—ჰუსეინოვს.**

(საგარეო საქმეთა სამინისტრომ დეკემბრის 24 ს ადერბეიჯანის ს. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჰუსეინოვს მიმართა შემდეგის დეპეშით, რომლის პირი გაეგზავნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს ბაქოში და ადერბეიჯანის სრულ უფლებიან წარმომადგენელს საქართველოში).

„ჩვენის ცნობებით ზაქათალის ოლქის ფარგლებში, 12 ივნისის აქსტაფის ხელშეკრულობის მეექვსე მუხლის აშკარა დარღვევით, გრძელდება გაძლიერებული დაგროვება და კონცენტრაცია საბჭოთა ჯარისა და ამავე დროს იმავე ოლქში სოფელ ბელაკანის რაიონში სწარმოებს ტოფოგრაფიული ზომვა.

კიდევ მეტი, ოლქის მცხოვრებთ წამოუყენეს მოთხოვნილება პირველ იანვრისათვის წარმოადგინონ დიდძალი სანოვაგე, საქონელი და საქონლის საკვები მასალა.

ვაცხადებ რა გადაჭრილ პროტესტს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულობათა ასეთი დარღვევისა და იმ ზომების წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიან ადგილობრივ მცხოვრებთა ქონებრივ მდგომარეობას, ვინაიდან მათი არსებობის ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენს საქონელი და ქირნახული, ჩემის მთავრობის დავალებით მოვითხოვ აღნიშნულ ღონისძიებათა დაუყონებლივ გაუქმებას და გთხოვ სასწრაფოთ მაცნობოთ შედეგი ამ მიმართვისა ჩემის მთავრობისათვის მოსახსენებლათ № 11258.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ **სახახტარიშვილი.**

---

## საუბარი კარლო ჩხეიძესთან.

(დასასრული)

**ანტანტა და ქემალისტები.**

— როგორ უყურებს ანტანტა და კერძოთ ინგლისი ოსმალეთის ნაციონალისტების მოძრაობას, არის თუ არა ცდა ქემალ-ფაშასთან შეთანხმებისა და თუ არის, რამდენათ შესაძლებელია რეალურათ მათ შორის შეთანხმება?

— როდესაც ჩვენ ტფილისიდან პარიზში მიმავალნი სტამბოლში ჩავედით,—შთაბეჭდილება ისეთი მივიღეთ, რომ ოსმალეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარ არსებობს. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა აზრი ჰქონდა პირველად ანტანტას ოსმალეთის შესახებ: უარყოფითი დამოკიდებულება ოსმალეთისადმი იქამდი მიდიოდა, რომ ფიქრობდნენ ოსმალეთის სავსებით გაძევებას ევროპიდან. როგორც სხვა ბევრ საკითხებში,—ამ საკითხშიაც ანტანტა გამოდიოდა გამარჯვების შედეგების შემცდარათ გათვალისწინებიდან. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში უმთავრესი საკითხებათ რუსეთის და ოსმალეთის საკითხი იყო. დღეს, მე მგონია, არის ყველა ნიშნები იმისა, რომ ოსმალეთის საკითხი სულ სხვანაირად შეტრიალდა. და თუ სევრის ხელშეკრულობის გადასინჯვის საკითხი ფორმალურად ჯერ არ დამდგარა, ფაქტიურად განხორციელება ამ ხელშეკრულებისა არ მომხდარა და ის დარღვეულად უნდა ჩაითვალოს. უეჭველია, ამ ნიადაგზე უკვე არსებობს მოლაპარაკება ერთის მხრივ ანტანტის წარმომადგენლებსა და მეორეს მხრივ ქემალის მთავრობის შორის.

— მოსალოდნელია თუ არა კონფლიქტი ბოლშევიკებსა და ქემალ-ფაშას შორის?

— თვით ის გარემოება, ამბობს კ. ჩხეიძე,—რომ ოსმალეთის საკითხი უკანასკნელ ხანებში სულ სხვა სახეს იღებს და სევრის ხელშეკრულობის გადასინჯვის გარშემო ლაპარაკი უკვე დაწყებულია, ჩვენ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათ შორის შეიძლება თავი იჩინოს უთანხმოებამ, თუ კი ზემოთ აღნიშნული მოლაპარაკება შეთანხმებით გათავდა.

**რა გვიხსნის ეკონომიური კრიზისიდან?**

— რა გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას იმ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელსაც ის ამ ჟამად განიცდის?

— ჩვენ ვიცით, რომ მთელს მსოფლიოში თანდათან იზრდება ეკონომიური კრიზისი წარმოებაში. საქონლის წარმოება თვით ინდუსტრიალურ ქვეყნებში კლებულობს. და ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც საქონლის მოთხოვნილება ბაზარზე უსაზღვროა.

რა არის ასეთი პარადოქსალური მდგომარეობის მიზეზი? უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ ომის შემდეგ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში წარმოება და ვალიუტა (ანუ ფულის კურსი) სრულიად დაეცა და ამ ნაწილს არ აქვს საშუალება საჭირო საქონელი შეიძინოს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მდიდარი არიან ინდუსტრიალური ნაწარმოებით (ინგლისი და ამერიკა), ამერიკა, მაგ., იძულებულია შეამციროს საქონლის წარმოება მიუხედავათ იმისა, რომ მას არც ნედლი მასალა და არც მუშა ხელი არ აკლია და ტრანსპორტიც მოწესრიგებული აქვს. ეს იმიტომ, რომ დოლარის კურსი მეტად მაღლა სდგას და საქონლის შეძენა დოლარის საშვალებით ხელმისაწვდომი არ არის ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც ვალიუტის კურსი დაცემულია. აქედან თავის თავად ცხადია თუ რა არის მიზეზი იმ საშინელი ეკონომიური კრიზისისა, რომელსაც განიცდის მსოფლიოს უდიდესი ნაწილი და კერძოთ ჩვენი ქვეყანა. და სწორედ ეს საერთო მოვლენა, საერთო მიზეზი უნდა ვიქონიოთ ჩვენ სახეში, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მსოფლიო წარმოება, თუ მას არ მოელის სრული განადგურება, უნდა გამოვიდეს ამ მოჯადოვებულ წრიდან.

რანაირად უნდა მოახერხოს ეს წარმოებამ?

ამისთვის საჭიროა, რომ შეძლებულმა ქვეყნებმა, როგორიც არის, მაგ., ინგლისი, კრედიტის თუ წარმოების მოწყობის სახით თავის კაპიტალი დააბანდოს ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამ დებულების რეალობა ადვილათ გასაგები იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ, მაგალითად, იმ გარემოებას, რომ დღეს ინგლისში კაპიტალი იმდენათ დაბევრებულია, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში მოკიდოს წარმოებას ხელი. ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ გვაქვს.

ჩვენ ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენში უცხო კაპიტალის შემოსვლას. მართალია, დღეს კაპიტალის ამ სწრაფვას ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ წინ ეღობება მრავალი დაბრკოლებები, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათისა, მაგრამ ობიექტიური მდგომარეობის გამო ის იძულებულია ეცადოს შევიდეს ჩამორჩენილ ქვეყნებში.

აქედან ცხადათა სჩანს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ვალიუტის მოწესრიგებით, გაუმჯობესებით. ვალიუტის გაუმჯობესება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გვექნება შესაფერი პირობები წარმოების ასაყვავებლათ. ყოველივე სხვა გზა ამ შემთხვევაში უტოპია იქნება.

---

## ფინანსთა მინ. კანდელაკის განცხადება

ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საზღვარ გარეთ თავის მოგზაურობის შესახებ შემდეგი განაცხადა: მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ მოველოდით, განაცხადა კანდელაკმა, დელეგაციას დიდხანს მოუხდა ევროპაში დარჩენა, თუმცა პოლიტიკური პირობები, განსაკუთრებით მაისში, მოითხოვდა დელეგაციის სამშობლოში დაბრუნებას. ჩვენ მოგვიხდა ანგარიშის გაწევა იმ ფაქტიური მდგომარეობისათვის, რომ ევროპა ნაკლებათ იცნობდა საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას, და ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ევროპისათვის საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაცნობას. დელეგაციას სურდა ეკონომიური დამოკიდებულება დაემყარებინა არა მარტო სავაჭრო დარგში, არამედ მოგვეწვია მცოდნე პირნი, ტეხნიკური გამოცდილება და კაპიტალი საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად. ამის გამო ჩვენ მოგვიხდა მოლაპარაკების წარმოება არა მარტო მთავრობის წარმომადგენლებთან, არამედ სავაჭრო-სამრეწველო წრეებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებთანაც. ყველა სახელმწიფოში, სადაც კი დელეგაციას მოუხდა ყოფნა, ყველგან დიდის პატივის ცემით გვხვდებოდნენ. ყველაზე დიდხანს დელეგაციამ დაჰყო ინგლისში, რადგანაც ამ ჟამად ინგლისს შეუძლია ყველაზე მეტის მოცემა, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე მხარეს, რომელიც თავის ენერგიას განადგურებულ ოლქების აღდგენას ანდომებს. ამ დარგში დიდ შედეგებზე მიაღწია საფრანგეთმა და განსაკუთრებით კი ბელგიამ. ბუნებრივია, რომ იმ გვარ პირობებში თვით ევროპა აღმშენებლობითი მუშაობით არის გართული და ეკონომიურ კრიზის განიცდის, ძნელი იყო კაპიტალის მოწვევა და ტეხნიკურ ძალების საქმეში ჩაბმა. მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ უფლება არ გვაქვს უსაყვედუროთ ჩვენ მიერ მიღწეულ შედეგებს. მაგალითად ინგლისში ჩვენ დავდევით ორი დიდი ხელშეკრულება რომელთაგანაც ერთი შეეხება საქართველოს ეროვნულ დაზღვევის ორგანიზაციას საქართველოს ეროვნულ დაზღვევის აპარატისა და ინგლისის ერთ-ერთ მსხვილ დამზღვევ საზოგადოება „კომერ-შელ-იუნიონის" შეთანხმებულ მუშაობით.

მეორე ხელშეკრულება შეეხება სესხის აღებას ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკიდან. სესხის რაოდენობა მილიონ-ნახევარ გირვანქა სტერლინგს უდრის. თანახმად პირობისა სესხი უნდა მოხმარდეს საწარმოო მიზნებს და ფულის ტრიალის გაუმჯობესების საქმეს. ეს ბანკი იქნება საქართველოს ფინანსიური აგენტათ ლონდონში; საქართველოში ის გახსნის თავის ფილიალურ განყოფილებას.

საფრანგეთში ხელშეკრულება დავდევით ფრანგ მეაბრეშუმეთა სინდიკატთან. თანახმად ხელშეკრულებისა უნდა დაარსდეს ფრანგულ ქართული საზოგადოება საქართველოში მეაბრეშუმეობის საქმის გაუმჯობესების მიზნით. მე პირადათ ადგილობრივ გავეცანი საფრანგეთის სინდიკატის მუშაობას და დავრწმუნდი იმაში, რომ მათთან თანამშრომლობით ჩვენ მეაბრეშუმეობას მოელის ბრწყინვალე მომავალი და რომ ჩვენ საექსპორტო წარმოებაში მეაბრეშუმეობას შეუძლია დიდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. აღნიშნული სინდიკატი ვალად იღებს საქართველოში ლაბორატორიების, სადედლე მინდვრებისა და შკოლების მოწყობას ადგილობრივ მცხოვრებთათვის მეაბრეშუმეობის შესასწავლად. ამ საქმის ინიციატორები არიან მეტად გავლენიანი და საქმის მცოდნე პირები. ამას გარდა ჩვენ დავდევით სავაჭრო ხელშეკრულება ცნობილ სავაჭრო სახლ შაბრიერ მორელთან, რომელიც მარსელში იმყოფება. იტალიაში საკონცესიო ხელშეკრულება დავდევით იტალიის უდიდეს სალითონო ფირმა „ილვასა" და იტალო-კავკასიის ბანკთან ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციის შესახებ.

ყველა ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევია ქართული კაპიტალის, და მთავრობის მონაწილეობა. მთავრობას უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს ამ წარმოებათ და ცხოვრებაში გაატაროს ჩვენი კანონები და მათ შორის მუშათა კანონმდებლობაც. ყველა ამ ხელშეკრულებას მე წარუდგენ მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას. დადასტურების შემდეგ ეს ხელშეკრულებანი დაუყონებლივ ძალაში შევლენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩვენ საწარმოო ცხოვრებას მეტად გააცხოველებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულებანი ევროპის სავაჭრო სამრეწველო წრეების მხრივ წარმოადგენს პირველ ნაბიჯს, რომელიც ჩვენთან მუშაობის სურვილს ამტკიცებს. ამასთანავე უნდა განვაცხადო, რომ მე დაუბოლოვებლად დავსტოვე რამდენიმე მოლაპარაკება საქართველოში ტყის სახერხ, ქაღალდისა, საქაოვესა და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მოწყობის შესახებ.

---

## „პირველი სოციალისტური სახელმწიფო"

ამ სათაურით ინგლისურ ჟურნალში („Clarion" 22 ოქტომბერი) მოთავსებულია ტომას შოუს წერილი საქართველოს შესახებ. მოგვყავს ამ წერილის ზოგიერთი ადგილები:

„მე ეს კი იყო დავბრუნდი მოგზაურობიდან პატარა, მაგრამ მშვენიერ ქვეყნიდან. ჩამოსვლისთანავე მე გავიგე ზოგიერთ ინგლისურ გაზეთებიდან, ვითომც ევროპიდან გამგზავრებული სოციალისტური დელეგაცია საქართველოში უკმეხად მიეღოთ. ეს არამც თუ მართალი არ არის, არამედ პირდაპირ სასაცილოა.

საქართველომ მიგვიღო გულმხურვალედ და გულწრფელად. ქართველები—მთის ხალხია. ისინი ძალიან საშიშნი არიან მხოლოდ მტერთათვის. ჩვენთვის კი—მეგობრები იყვნენ. საქართველო გასაკვირველი ულამაზესი ქვეყანაა. რამდენადაც ლამაზია, იმდენად ნოყიერია და სარგებლიანი ის დედა-მიწა, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ. ეს ქვეყანა უმდიდრესი ქვეყანაა თავისი ბუნებრივი განძეულობით: აქ არის ქვა-ნახშირი, უდიდესი მთები, რომელშიაც, უეჭველად, ბევრი ოქრო და ვერცხლა მარხია, უზარმაზარი ტყეები, ველმინდვრები, მინერალური წყლები, სადაც შეიძლება გაშენდეს უთვალავი კურორტები და მიიზიდოს ყველა ქვეყნიდან აუარებელი ხალხი.

მაგრამ ამ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით ვერ არის სათანადოთ განვითარებული: ვაჭრობა-მრეწველობა, არ არის ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ გაერთიანება ყოველი დარგის, (ამ მართლაც პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში) და ჯეროვანად გამოიყენონ თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნოე ჟორდანიას და მთელ მთავრობასაც კარგად ესმით თავიანთ ქვეყნის მდგომარეობა და შეძლებისამებრ ცდილობენ დაიახლოვონ ევროპის განათლებული სპეციალისტ-ტეხნიკოსები და მათ შემწეობით გაიუმჯობესონ თავიანთი ეკონომიური ცხოვრება.

მე რომ მოვყვე და აგიწეროთ საქართველოს ბუნების ჯადოსნური სილამაზე და ამ ხალხის რაინდული ყოფა-ქცევა—მე შემეძლო მართლაც ღირსეული წერილი დამეწერა ჟურნალ „Clarion"-ისთვის.

საქართველოს სამხედრო გზა—ეს ნამდვი-

ლი სილამაზის განსახიერებაა, ეს არის ლეგენდების და სიმღერების სამეფო. ამ კლდეებზე ნახავთ თამარ-დედოფლის კოშკს, რომელიც მოგითხრობთ ათას უცნაურ ამბებს. ამავე ადგილას ძლიერია ისტორიის ნაშთები. ყველა ლაპარაკობს თავის დროზე ყველაფერი სცოცხლობს და ლაღადებს.

შეუძლებელია ადამიანმა გადმოგცეთ ის რაც ჩვენ ვიგრძენით და განვიცადეთ საქართველოში მოგზაურობის დროს.

სტუმარ-მასპინძლობა, ხალხის შეხვედრა, პატივისცემა და ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც წილად გვხვდა ჩვენ, აუწერელია.

მე აღარ მყოფნის სიტყვები, რომ მოგითხროთ ქართველ ხალხის ადათ-ჩვეულებებზე, მათ ტრადიციაზე და იმ თავგანწირულ ბრძოლაზე, რომელთაც არა ერთხელ ჰქონიათ ოსმალებთან, სპარსებთან და უამრავ მტრებთან. მაგრამ მათ ყოველთვის დაუცავამთ თავიანთი ქვეყანა განსაცდელისაგან და გამარჯვებულნი გამოსულან. ამ ხალხმა შეინარჩუნა მშობლიური ენა, ლიტერატურა და თავისი საუკუნებრივი დიდი კულტურა.

ვიტყვი მოკლედ: საქართველო თავისუფალი ნამდვილი სოციალისტური ქვეყანაა. ყოველ მამაკაცს, ქალს აქვს სრული უფლება თავისუფალ სიტყვისა და ყველანი ერთ უფლებით არიან აღჭურვილნი, აქ არ არის ტერორი, არ არის ნგრევა და დიქტატურა. ხალხის უმრავლესობა მისდევს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. საქართველოს მთავრობას არა აქვს პრეტენზიები რომლითაც უქადოდნენ რაიმე გასაკვირველ სასწაულებს ხალხს იგი ზომიერია და მშვიდობიანი გზით ჰქმნის თავის პოლიტიკურ სისტემას, რომლის შედეგი მომავალში უეჭველია — პროგრესია.

საქართველო რომ იყოს სავსებით ბედნიერი, ამისთვის საჭიროა კიდევ საქართველოს „დეიურეს“ ცნობა და ერთა ლიგაში მიღება. ინგლისის მუშათა პარტია უნდა საქართველოს დაეხმაროს ამ საქმეში.

## უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები)

**ამერიკის ფლოტი.**

ლონდონიდან მოსული ცნობით შეერთებულ შტატების სტატს სეკრეტარ დანიელს საზღვაო კომისიისათვის განუცხადებია: მთელ ქვეყანაზე ქაოსის გამეფების გამო ამერიკამ მეტად უნდა გააძლიეროს თავისი ფლოტი; ეს ფლოტი უფრო ძლიერი უნდა იქნეს ინგლისისა და იაპონიის ფლოტზე.

**რუსი ლტოლვილნი.**

„ბოსფორი“ სწერს: ყველა იმ უბედურებათა, რომელიც გარს გვარტყია, ყველაზე საშინელია რუს ლტოლვილთა უბედურებაა. რა აუცილებლობამ აიძულა თითქმის მთელი ხალხი დაეტოვებია თავისი ქვეყანა და უცხოეთში წაწებასა და უბედურებისთვის მიეცა თავი. ლტოლვილთა შორის არიან მუშები და ისეთი ხალხი, რომელნიც რუსეთშიც არ იყვნენ უზრუნველყოფილნი და ამიტომ არც ქონდათ საფუძველი ბოლშევიკების შიშისა.

უცხოეთში კი ასეთი სიღარიბის გადატანა — საერთო გაღატაკებისათვის ხელის შეწყობას ნიშნავს. ვერავითარი სალსარი ვერ გაუძლებს ამდენ ხალხს, რომელმაც აავსო სტამბოლი. რჩება მხოლოდ ერთი: გაიგზავნოს რუსეთში ყველა, ვინც ბოლშევიკებთან ბრძოლაში არ არის შემჩნეული. ეხლა, როდესაც ბოლშევიკებთან სავაჭრო დამოკიდებულება განახლდება, უკან დაბრუნება შესაძლებელი ხდება.

**„ბოსფორი“ სომხეთის შესახებ.**

„ბოსფორი“ სომხეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ შემდეგს სწერს: სომხეთის დამარცხება არის შედეგი იმედის საშინელი გაცრუებისა, რომელიც გამოაცხადა სომხეთის ხალხმა. სომხეთი თავისი მოქმედებით ადასტურებს, რომ ის უკუ აგდო იმ ევროპამ, რომელმაც იგი ერთ დროს მოხიბლა ბრწყინვალე იმედებით. სომხეთს ასაზრდოებენ ლამაზი სიტყვები, მაგრამ უბედური ქვეყანა, მიუხედავად იმისა ვერ ეღირსა ამ სიტყვების საქმედ გარდაქმნას.

## მთავრობაში

**უკანასკნელი დადგენილებანი.**

დეკემბრის 21 სხდომაზე თანახმად გზათა უწყების მინისტრის მოხსენებისა ოზურგეთის მაზრ. მდ. გუბაზოულზე ხიდის გასაკეთებლად გადაეცეს ოზურგეთის ერობის განკარგულებაში გზატკეცილთა გამგეობის ფონდიდან სათანადო თანხა ხიდის სხვა და სხვა მასალების შესაძენათ.

— თანახმად გზათა მინისტრის მოხსენებისა ფოილოს ხიდის მიმღებ კომისიის ხარჯების დასაფარავად. ფოილოს ხიდის შესაკეთებელ თანხიდან საჭიროებისათვის გადაიდოს სათანადო თანხა.

— თანახმად ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებისა ეპიდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახებს საექიმო შემადგენლობიდან მიეცეს ერთდროული დახმარება, რომლის რაოდენობაც უნდა უდრიდეს იმ თანხას, რასაც გარდაცვალებული პირი თავის სამსახურის უკანასკნელ წელს იღებდა.

## ფრონტის დღე ტფილისში.

ფრონტს, ზურგი დედა ქალაქი მხურვალე თანაგრძნობით შეეგება და გუშინ 25 დეკემბერს ყველა მოქალაქემ განურჩევლად კლასისა და მდგომარეობისა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი.

**პრესა.**

ყველა გაზეთებმა მხურვალე, გრძნობით აღსავსე წერილები უძღვნეს ფრონტს. გაზეთები დასურათებული იყო ფრონტის სურათებით და ამ დღისთვის შედგენილი საგანგებო ლოზუნგებით. ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტმა საგანგებოდ გამოსცა ამ დღეს გაზეთი „ფრონტის შობის ხე“, სადაც მოთავსებულ იყო ჩვენი საუკეთესო მწერალ პუბლიცისტების ნაწარმოებნი ფრონტის მნიშვნელობაზე, გაზეთი დასურათებული იყო საუცხოვო სურათებით მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ. ჯარისკაცთ და გვარდიელთ გაზეთი უფასოდ ურიგდებათ.

**შობის ხე.**

დილა ადრიანვე სასახლის წინ მოირთო საგანგებო დ. ბორჯომიდან ჩამოტანილი უზარმაზარი შობის ხე, დატვირთული ფრონტის საჭირო ნივთებით. ეროვნულ ალმებით და ელექტრონის ათას ფერ ლამფებით გაჩირაღდნებული იყო შობის ხე. შობის ხის გვერდით საგანგებო ყუთები იყო ჩამწკრივებული შემოწირულ ნივთეულობათა მისაღებად. საგანგებო მაგიდებზე კომისიის წევრი მანდილოსანნი ყულაბებით შემოწირულ ფულს ღებულობდნენ და საგანგებო კარავში კვიტანციის ბარათები ეძლეოდათ.

სასახლის ბაღის აივნიდან სამხედრო მუსიკამ შუადღისას ეროვნულ ჰიმნით გახსნა ფრონტის დღე და შემდეგ გამუდმებით ასრულებდა სხვადასხვა მოტივებს რიგ რიგად. შობის ხესთან დილიდანვე დაიწყო შემოწირულებათა მიღება. გაჩქარებით გზათ მიმავალი ჩერდებოდა შობის ხის წინ და თავის მოვალეობას იხდიდა ზოგი მათგანი უხვად 50 და 100 ათას მანეთსაც სწირავდა. პატარა ბავშვებს მოჰქონდათ ყუთებთან მშობლებისაგან გამოტანებული ნივთები.

**ქალაქის სხვადასხვა უბანში.**

ქალაქის უმთავრეს პუნქტებში საგანგებო მაგიდებზე კომისიის წევრნი, მანდილოსანნი, ყულაბებით იღებდნენ შემოწირულებას ფულით და ნივთით. ყველა პუნქტზე მოქალაქენი დიდი ხალისით სწირავდნენ ფულსა და ნივთებს ისევე, როგორც მთავარ პუნქტზე სასახლის წინ.

**ეტლები შემოწირული ნივთებით.**

შუადღისას ქალაქის სხვადასხვა უბანში კომისიის წევრთა თანხლებით ჩაიარეს საგანგებო ეტლებით და სავაჭრო მაღაზიებიდან და დაწესებულებებიდან შეაგროვეს ყველა ის შემოწირულებანი, რაც კი ფრონტს სჭირდებოდა. შემოწირულების მიღება დასრულდა ნაშუადღევს.

**საღამოს.**

საღამოს „შობის ხე“ გაჩირაღდნებული იყო ელექტრონის ლამფებით და კვლავ გრძელდებოდა შემოწირულებათა მიღება. „არმაზში“ (ყოფილი ქიმერიონი) გაიმართა გრანდიოზული საღამო.

**ბათომიდან.**

(დეპეშა)

„ბათომის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეხვდა ფრონტის დახმარების საქმეს, შესაძლებელი არის დაკმაყოფილდეს ჩვენი რაიონის ნაწილები. საჩქაროთ გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი, რომელიც დაგვეხმარება განაწილების საქმეში, რომ დღესასწაულებისათვის მოვაწოდოთ ნივთები შორეულ ნაწილებს“.

## მუშათა მაგიდა

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდაში შეიმუშავეს სტატისტიკური ცნობები მუშათა მაგიდაში ჩარიცხულ მუშებისა და მოსამსახურეების და აგრეთვე იმ ულუფათა რაოდენობის შესახებ, რომელსაც ეს მაგიდა იძლევა. თანახმად ამ ცნობებისა დეკ. 1 ტფილისში ყოველდღიურად აწვდიდენ: 1) სახელმწიფო მოსამსახურეებს 12,012, ულუფათა რაოდენობა უდრიდა 28,384; 2) საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეებს 8,557, ულუფათა რაოდენობა უდრიდა 22,534; 3) კერძო წარმოებათა მუშებსა და მოსამსახურეებს 6,635, ულუფათა რაოდენობა 16,345. სულ პურს აწვდიდენ 27,204 მოსამსახურეს, ულუფათა რიცხვი ყოველდღიურად უდრიდა 67,263. რაიცა თვიურად უდრის 1,008,945 გირვ. პურს. ე. ი. 17,395 ფუთსა და 35 გ. პურის ფქვილს. რკინის გზებზე ყოველ დღიურად პური ეძლეოდა 18,498 კაცს; ყოველ დღიურად მუშათა მაგიდა არიგებდა 69,338 გირვ. პურს, რაიცა თვეში შეადგენს 17,932 ფუთსა და 14 გირვ. პურის ფქვილს. ულუფათა საერთო რიცხვი ტფილისში უდრის 136,601, თვიურად საჭიროა 35,328 ფუთი და 9 გირ. პურის ფქვილი. საერთო რიცხვი მუშებისა და მოსამსახურეებისა უდრის 45,702, მათი ოჯახის წევრთა რიცხვი კი ამ მუშა-მოსამსახურეებთან ერთად უდრის 90,792 კაცს. პროვინციის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 14,674, მათ ეძლევათ 43,334 ულუფა.

— მუშათა მაგიდა აცხადებს იმ პირთა მორიგ სიას, რომელნიც უკანონოდ იღებდენ სურსათ-სანოვაგეს ორი ადგილიდან:

1) სალარიძე ლავრენტი ექიმი სურსათ-სანოვაგეს იღებდა ქალაქის ტრამვაისა და რკინის გზის საავადმყოფოში. მისი ცოლი იღებდა სურსათ-სანოვაგეს (5 სულზე) ბილანოვის გიმნაზიიდან; 2) ღვთისავრიშვილი თამარი გიმნაზიის მასწავლებელი ღებულობდა ორ ზედმეტ ულუფას, თავის ობოლ ნათესავ ბავშვებისათვის, რომლებიც მას არა ყავს; 3) ჩუბინიძე შალვა ბილანოვის გიმნაზიის მასწავლებელი ღებულობდა ზედმეტ ულუფას შვილისათვის, რომელიც მას არა ყავს და ცოლისათვის, რომელიც მსახურობს ამავე გიმნაზიაში და ულუფას იღებს შვილისათვის, რომელიც მას არა ყავს. ყველა ამ პირს მოესპო ულუფა და ისინი სამართალში მიეცენ. ეს პირები ვალდებულნი არიან მუშათა მაგიდას აუნაზღაურონ ზედმეტად წაღებული ულუფანი.

**მუშებისათვის მანუფაქტურის დარიგება**

მუშათა მაგიდაში საგანგებო კომისია მუშათა და მოსამსახურეთათვის მანუფაქტურის დარიგების წესრიგს იმუშავებს. ეს წესრიგი გაზეთში გამოცხადდება. მუშათა მაგიდა არ მიიღებს კერძო პირთა განცხადებას, რომ მათ მანუფაქტურა მიეცეთ. ეს კომისია გაანაწილებს აგრეთვე შეშას. შეშა უკვე დაურიგდა მბეჭდავებს, რკინის გზებს და ზოგიერთ მოსამსახურეებს. შეშა მოტანისდა მიხედვით დაურიგდებათ დანარჩენ მუშებსა და მოსამსახურეებს.

## წერილი რედაქ. მიმართ

**პასუხათ „ახ. სხივის“ კორესპ. ბ. ე. ნ—ძეს.**

გაზეთ „ახალ სხივის“ № 32-ში მოთავსებულ კორესპონდენციის გამო ბათომის საბაჟოს შესახებ, მოვალეთ ვრაცხ თავს სინამდვილის აღსადგენათ გავაცნო მკითხველ საზოგადოებას შემდეგი:

ქ. ბათომისა და მისი ოლქის შემოერთების შემდეგ, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მიიღო შესაფერი ზომები, საბაჟოს ოპერაციების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

ამ მიზნით სამინისტრო შეეცადა ბათომში გაეგზავნა საუკეთესო ძალები. მაგრამ სამწუხაროთ საბაჟოში მოხვდნენ აგრეთვე უღირსნი და სახელგატეხილი მოხელენი. რამაც გამოიწვია, როგორც რიგიან მოხელეთა ისე კერძო პირთა შორის მითქმა-მოთქმა. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილმა ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება, მან წინადადება მისცა ბათომის საბაჟოს დროებით გამგეს, რათა დაუყოვნებლივ დაითხოვონ არა საიმედო მოხელენი. ასეთმა განკარგულებამ სამსახურს სარგებლობა მოუტანა: მაგრამ გამოიწვია უკმაყოფილება ზემო აღნიშნულ პირთა შორის. საბაჟოს დროებით გამგისგანვე იყო მიღებული ასი დარაჯი, რომელშიაც მოხდენ არა საიმედო პირები. სამინისტრო თანახმად მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა შეამცირა შტატი სამოცდა თუთხმეტამდი, ამნაირად მოშორდა საბაჟოს ოცდა ხუთზე მეტი დარაჯი, რომელნიც დარჩნენ უკმაყოფილონი.

„ახ. სხივის“ № 32-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში ბ. ე. ნ—ძე სწერს, რომ ვიღაც ჩიჩიბაიას უნდა გაეტანა ორი ათასი ფუთი ნავთი, რევიზიამ კი აღმოაჩინა, რომ ჩიჩიბაიას კი არა ბათომში, კერძო კონტორის გამგე რილსკის მიუღია ნებართვა მომარაგების სამინისტროდან 7740 თანაქა ნავთის საზღვარ-გარეთ გატანისა; მაგრამ როგორც გამოძიებამ დაადასტურა საბაჟოს დაბალ მოსამსახურეებთან შეთანხმებით მას 615 ფუთით მეტი გაუტანია კონტრაბანდათ. ამის შესახებ ცნობა მიუღია ბათომის საბაჟოს უფროს მოხელეებს, რომელნიც, სხვა მოსამსახურეებთან ერთად მისულან გემი „ალექსანდრია“-ზე და დახედვის შემდეგ აღმოუჩენიათ ზედმეტი ნავთი, რომელიც ჩამორთმეული იქნა. აგრეთვე გადაახდევინეს მას ორმაგი ჯარიმა სულ 347.500 მან. ნავთი გაიყიდა საჯარო ვაჭრობით და გაყიდვისაგან შემოსული ფული და ჯარიმა იქმნა განაწილებული, როგორც დამჭერთა ისე სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელის შორის. ამ ჯალდოს განაწილებას მიაქცია ყურადღება სამინისტრომ და შესაფერი განკარგულებაც მოახდინა. ამ ბოროტ-მოქმედებაში ერთი მონაწილე დაბალი მოსამსახურე მიიმალა.

ვრცელი გამოძიება ამ საქმის შესახებ სამინისტრომ გადაუგზავნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს წინასწარ გამოძიებისათვის და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას გემ „ვოზროჟდენიეზე“ სპირტის და სხვა საქონლის დაჭერის შესახებ, შემიძლია ვსთქვა შემდეგი: გემი „ვოზროჟდენიე“ მოზდილი ორთქლ-მავალი გემია, იგი იდგა ბათომის ნავთსადგურში ერთ თვეზე მეტი. გემის წასვლის დროს გემის უფროსმა აღმოაჩინა სპირტი, რასაც შედეგათ მოყვა ერთი მეზღვაურის დათხოვნა, რომელმაც განუცხადა ნავთსადგურის უფროსს, რომ „ვოზროჟდენიის“ მეზღვაურებმა გემში ღამ-ღამობით ჩუმათ ჩატვირთეს სპირტიო. ამ მეზღვაურს არც საბაჟოს მოხელე და არც დარაჯი არ დაუსახელებია რომელთაც რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ამ საქმეში. მეზღვაურის განცხადების გამო ნავთსადგურის უფროსმა გემ „ვოზროჟდენიეს“ გამანადგურებელი დაადევნა და ათი მილის მანძილზე ბათომიდან უკანასკნელი დაეწია პირველს და უკან მოაბრუნა ბათომის ნავთსადგურში. დამბეზღებელ მეზღვაურის ჩვენებით გამანადგურებლის უფროსმა იცოდა სად ჰქონდათ მეზღვაურებს შენახული სპირტი. სპირტი გადმოტვირთული იქნა გემიდან და სათანადო ოქმით წარედგინა ბათომის საბაჟოს.

გაზეთ „ახალ სხივში“ მოთავსებულ წერილის ავტორს უკვირს, რომ საბაჟოს მოხელეებმა კონტრაბანდა ვერ აღმოაჩინეს; ეს გარემოება საბაბს აძლევს კორესპონდენტს დასწამოს საბაჟოს მოხელეებს და სთქვას რაკი კონტრაბანდა ვერ აღმოაჩინეს გემზე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს განგებ ჩაიდინესო, კორესპონდენციის დამწერს ალბათ წარმოდგენა არა აქვს დიდ ორთქლ-მავალ გემზე და ჰგონია, რომ მისი დახედვა საკმარისია კონტრაბანდის გატან-შემოტანის მოსასპობათ. გემს იმდენი და იმგვარი დასამალი ადგილები აქვს, რომ ხშირათ გემთა ინჟინრები და გემთა უფროსებიც ვერ მიაგნებენ ხოლმე დამალულ საქონელს, არა თუ ჯერ კიდევ ნორჩ საბაჟოს მოხელენი. გემის სრული გაჩხრეკისათვის, საჭიროა, თავდაპირველათ სავსებით გადმოიტვირთოს რაც კი რამეა გემში და ვეკითხები დაუფიქრებელ კორესპონდენტს: შეიძლება საბაჟოს მოხელემ წასასვლელად გამზადებული გემი, რომელიც სავსეა წამსვლელ მგზავრებით, დატვირთულ საქონლით, დასცალოს, გადმოსხას მგზავრები, ჩააქრობინოს მანქანა, დააცლევინოს წყლის და ქვანახშირის რეზერვუარები და სხვა, რომ სავსებით გაჩხრიკოს გემი, რომ კონტრაბანდა „არ გააცოცონ, ან არ შემოაცოცონ“, მე მგონია, ყველა იტყვის, რომ ეს შეუძლებელია. როგორც მოსულ გემების, აგრეთვე წასასვლელ გემების დახედვა საბაჟოს მოხელეების მიერ ხდება ზერელედ.

ბათომის საბაჟოს მოხელეებს უკიჟინებენ კონტრაბანდის გაშვებას და მექრთამეობას. „ცოდვა გამჟღავნებული სჯობია“ ნათქვამია: დაასახელონ ვინ რა ბოროტება ჩაიდინა. რასაკვირველია, ოჯახი უმახინჯოთ არ იქნება და ასეთ მახინჯებს ხელს არავინ აფარებს და საბაჟო უწყება სასტიკ პასუხისგებაში აძლევს ყველა დამნაშავეს, მაგრამ რაში დასჭირდათ, რომ ერთი რომელიმე მახინჯისთვის ჩირქს ყველასა სცხებენ.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ საბაჟო მოხელეების მოქმედებით არავინ არ არის კმაყოფილი რადგანაც ასეთია მისი მოვალეობის ფუნქციები. იყო აგეთი შემთხვევა, რომ როცა ერთ დამფუძნებელი კრების წევრს შეხვდა მოხელე, პატივცემით მიიღო და მისი ბარგი არ გადახედა.

საზოგადოება კი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო ყოველთვის ფხიზელ დარაჯათ უდგას რესპუბლიკის საზღვრებს და თუ რაიმე ბოროტმოქმედება მოხდება მის დაწესებულებებში, ყოველ ღონისძიებას ხმარობს მისი ძირიან-ფესვიანათ ამოსაფხვრელათ, ხოლო ბოროტმომქმედ პირს სასტიკათ სჯის.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსი **ბ. მიქაძე.**

**განცხადებანი**

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ვასილ იოსების ძე ვაშაკიძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანნა იოსების ასული ვაშაკიძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1911 წელს უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან. ყველა ვინც იცის ანნა იოსების ასული ვაშაკიძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 4368 3—3

დაიკარგა მოწმობა მიცემული ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან № 346 მიხეილ ვასილის ძე მასხულიას სახელზე, გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. 4472 3—1

დაიკარგა მოწმობა ზაქარია კვეზერელი—კოპაძის სახელზე, მიღებული მე-5 ე გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4432 3—2

რწმუნება გაცემული ალექსანდრე სოლომონის ძე ბებუთოვის მიერ კონსტანტინე იარამის ძე ხერხეულიძის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაჭავარიანთან 1920 წ. დეკემბრის 20-ს რეესტრით № 13486 გაუქმებულია. 4409 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1253, ვლადიმერ ლეიზერის ძე კესელის სახელზე, მიღებული ბათომის მილიციის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4426 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 943, ვასილ ფირანის ძე ოთხმეზურის სახელზე, მიღებული სახ. უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4428 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სარქის შიხიკიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4524 3—2

დაიკარგა პასპორტი აკოფ გასპარის ძე გასპარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4425 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან, სამხედრო ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან—იზრაილ აბეშასძე თოფჩიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4411 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ონის (რაჭა) სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ლევანტი ივანეს ძე გოშაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4365 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული წესის საზოგადოებიდან (რაჭა), ქრილობის მოწმობა და საქართველოს რესპუბლიკის დაჭრილ რასახიჩრებულთა კავშირის წევრობის წიგნაკი სურათით ლავრენტი იაკოფის ძე ისაკაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4433 3—2

დაიკარგა პასპორტი სედრაკ მიკირტიჩის ძე არუთინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4477 3—1

დაიკარგა პასპორტი გიორგი მიხეილის ძე მეტრეველის სახელზე, მიღებული საქართველოს საკონსულოდან ქ. კავკავში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4479 3—1

დაიკარგა პასპორტები ევგენია ალექსანდრეს ასული ლიონიძის № 13 და ქსენია ვასილის ასული ლიონიძის სახელზე, მიღებული 3 სანაპირო პოლკიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4467 3—1

დაიკარგა პასპორტი № 37835, მიღებული პანკის სოფლის სამმართველოდან და პირადობის მოწმობა № 952, მიღებული ერობათა კავშირიდან ვასილ გიორგის ძე შავლოხაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვლოს. 4467 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული ქუთ. მილიციის უფროსისაგან, ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და სამი თამასუქი, ხელმოწერილნი 1. 100000 მ. ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის მიერ, 2. 100.000 იონა ნიკოლოზის ძე ქითავას მიერ და 3. აკაკი იოსების ძე შენგელიას მიერ მოსე ფირანის ძე შენგელიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4440 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მიღებული სახელმწიფო კონტროლიდან, სამსახურის სამგზავრო ბილეთი ტფილისიდან-სამტრედიაში გამგზავრების და უკან დასაბრუნებელი და საფოსტო უწყება 300 მანეთის ევგენია სტეფანეს ასული კუზმინას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—1

დაიკარგა პასპორტი ვარლამ სვანიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4466 3—1

დაიკარგა პასპორტი № 5183 მიხეილ ალექსის ძე ხოსიშვილის სახელზე, მიღებული ცხინვალის რაიონის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4469 3—1

დაიკარგა პასპორტი მოსე პოლიკარპის ძე ქუვალდინის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4471 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი არუთინა იაგორის ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4475 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა დავით ხარებას ძე ჯოხაძის სახელზე, მიღებული ონის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4476 3—1

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების 48 მუხლისა, აცხადებს, რომ 1919 წლის დივიდენდი დაურიგდება აქციონერებს ჭიათურაში საზოგადოების ბინაზე ამა წლის დეკემბრის 25-დან.

1048 2—2

## ამონაწერი

### სააქციო საზოგადოების თამბაქოს ქარხანა „მირის“ 1919 წ. ანგარიშიდან.

**მოგების და წაგების ანგარიში:**

### დებეტი:

| | | |
|---|---|---|
| %% გადახდილი, მიღებულების გამოკლებით | | 482.122 88 |
| საერთო ხარჯები | | 480 651 96 |
| უძრავ ქონებათა შენახვა | | 106.865 69 |
| ელექტრონული სადგურის შენახვა | | 142 232 13 |
| შემთხვევითი ზარალი, გამოწვეული თამბაქოს დასველებიდან | | 12.965 30 |
| ზარალი ცეცხლისაგან, მომხდარი მ. წ. 19/20 ნოემბერს: | | |
| დაიწვა: უძრავი ქონება | | 124.143 71 |
| მოძრავი „ | | 14.735 43 |
| ფურცლოვანი თამბაქო | | 628.676 50 |
| მანქანები | | 242.330 07 |
| მასალები | | 506.539 — |
| ბანდეროლები | | 99.624 63 |
| ელექტრონული სადგური | | 248.990 45 |
| დამზადებული თამბაქო: | | |
| ბანდეროლ გადაკრული | 589.765 20 | |
| უბანდეროლო | 36.416 70 | |
| | | 626.181 90 |
| სურსათი შესყიდული მუშებისთვის | | 11 000 — |
| სხვა და სხვა ხარჯები გამოწვეული ცეცხლის მიერ | | 40.577 85 |
| | | 3.767.637 50 |

### კრედიტი:

| | |
|---|---|
| მოგება, მიღებული გამზადებულ საქონლის გაყიდვიდან | 243.006 04 |
| მიღებულია დამზღვევ საზოგადოებათაგან ზარალის ასანაზღაურებლათ | 750.000 — |
| 1918 წ. წმინდა მოგების განუყოფელი ნაშთი | 6.858 47 |
| 1919 წ. სრული ზარალი | 2 767 772 99 |
| | 3.767.637 50 |

## ბალანსი

### სააქციო საზ. თამბაქოს ქარხ. „მირის“ 1920 წ. იანვრის 1-ს.

### აქტივი:

| | |
|---|---|
| კასა და მიმდინარე ანგარიშები | 442.158 — |
| მომგებიანი ქაღალდები | 259.333 33 |
| მომგებიანი ქაღალდები, რომელნიც იმყოფებიან ხაზინაში სააქციზო სამმართველოს დეპოზიტში | 45.0000 — |
| სხვა და სხვა დებიტორები | 1.166.575 41 |
| გარდამავალი თანხები | 396.375 17 |
| უძრავი ქონება | 150.000 — |
| მოძრავი ქონება და მანქანები | 62.157 50 |
| ელექტრონული სადგური | 13.400 — |
| ფურცლოვანი თამბაქო | 4.269.705 60 |
| მასალები | 135.762 81 |
| ბანდეროლები | 32.737 49 |
| თამბაქოს ნაწარმოები მაღაზიაში | 357 965 — |
| მიღებული თამასუქები | 2.000 — |
| ხარჯები, რომელნიც დაბრუნებულ უნდა იქმნან | 566.942 10 |
| 1919 წ. წმინდა ზარალი | 2.767 772 99 |
| | 11.072.886 40 |

### პასივი:

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 2.500.000 — |
| სათადარიგო „ | 111.393 40 |
| გასაბათილებელი კაპიტალი | 182.452 37 |
| სხვადასხვა კრედიტორები | 2.313.598 17 |
| გარდამავალი თანხები | 268.697 27 |
| გაცემული თამასუქები | 400 — |
| სპეციალური ანგარიშები ბანკებში | 4.644.162 01 |
| კრედიტორები ძომგებიან ქაღალდებით, მიღებული სესხის სახით | 450.000 — |
| სააქციზო სამმართველოს ვალი | 601.960 — |
| 5% სახელმწიფო გადასახადი | 223 18 |
| | 11.072.886 40 |

## ამონაწერი

**ბ. ბ. აქციონერების 1920 წ. აგვისტოს 1-ს შემდგარ ჩვეულებრივ საზოგადო კრების ოქმიდან.**

საზოგადო კრებაზე წარმოდგენილ იქმნა აქციები თორმეტი აქციონერების მიერ, რომლებიც განაგებდენ 227 ხმას.

თავმჯდომარეთ ერთხმათ იქმნა არჩეული ა. ე. ბოგდასაროვი, მდივნათ მ. გ. ლალაიანი.

კრებამ მოისმინა ანგარიში, სარევიზიო კომისიის და გამგეობის მოხსენებანი და ერთხმად დაადგინა: 1919 წ. ანგარიში დამტკიცდეს, გაიყიდოს ცეცხლისაგან გადარჩენილი სხვა და სხვა ქონება, რომელიც საზოგადოებისთვის საჭირო არ არის და მიღებულ თანხით დაიფაროს ზარალი 27.677,72 მან. 99 კაპ.

შესახებ 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა, კრებამ სთხოვა გამგეობას იხელმძღვანელოს 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვით.

გამგეობის წინადადება დამწვარ ქარხნის აღდგენის და საზოგადოების ძირითადი თანხის 2.500,000 მანეთიდან 10.000,000 მანეთამდის გადიდების შესახებ კრების მიერ ერთხმად იქმნა მიღებული.

შემდეგ მოხდენილ იქმნა გამგეობის ერთი წევრის ბ. ა. ე. ბოგდასაროვის ნაცვლად გამგეობის წევრის ერთი კანდიდატის და სარევიზიო კომისიის ოთხი წევრის არჩევნები. კრებამ ერთხმად აირჩია: გამგეობის წევრად ი. ს. ბაღდასაროვი სამი წლის ვადით, გამგეობის წევრის კანდიდატათ ა. მ. ბაღდასაროვი და სარევიზიო კომისიის წევრებათ მ. გ. ლალაიანცი, ა. ნ. საფარიანცი, ს. ა. შავერდოვი და რ. ვ. ავანიანცი.

**თამბაქოს ქარხანა „მირი“-ს სააქციო საზოგადოება.**

გამგეობის თავმჯდომარე: ა. ნ. მილოვი.

გამგეობის წევრები: ს. ნ. კარამეტიანი, ვ. ო. ტერ-ზახაროვი, ი. ს. ბაღდასაროვი.

1049 1—1

ბუღალტერი: ა. ე. ვართაზარიანი.

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად.

**შემდეგი საგნების განსახილველად:**

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ. 2. 1921 წ. საექსპლოტაციო ხარჯთ-აღრიცხვის და 3. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. საზოგადო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1046 3—2